

ე ვ ა ნ გ ე ლ უ რ - ლ უ თ ე რ ა ნ უ ლ ი ე კ ლ ე ს ი ა

ლუთერანული ეკლესია სათავეს იღებს რეფორმატორულ მოძრაობიდან, რომელიც გვიანი საუკუნეების კათოლიკურ ეკლესიის წიაღში აღმოცენდა და დაკავშირებულია გერმანული თეოლოგის მარტინ ლუთერის და მისი მიმდევრების სახელთან. სახელი რეფორმაციის პერიოდიდან მოდის და ხაზს უსვამს რწმენის ძირითად საფუძვლად სახარების გამოყენების პრინციპს.

1517 წლის 31 ოქტომბერს ლუთერმა თავისი 95 თეზისი გააკრა ვიტემბერგის ტაძრის კარს, რომლითაც ხალხს მოუწოდა ინდულგენციებით ვაჭრობის მართებულობაზე დაფიქრებულიყო. კათოლიკურმა ეკლესიამ რეაგირება მოახდინა და 1521 წლის 16 აპრილს ლუთერი წარსდგა სამსჯავროს წინაშე ვორმსში, სადაც კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მხოლოდ წმინდა წერილს ეყრდნობოდა და არა პაპის ავტორიტეტს. მოგვიანებით გამოსულმა ვორმსის ვერდიქტმა ლუთერი და მისი მიმდევრები კანონგარეშედ გამოაცხადა. ლუთერის იდეები სწრაფად ვრცელდებოდა. ლუთერი ბიბლიას გერმანულად თარგმნიდა და ურთავდა განმარტებებსა და კომენტარებს. 1529წ. მისი ნაწერების გავრცელება აიკრძალა, მათ ეს ახალი დადგენილება გააპროტესტეს. მათ ვინც ვორსის ედიქტს აპროტესტებდა პროტესტანტები ეწოდათ. მოგვიანებით ეს სახელი გავრცელდა ყველა იმ რელიგიურ მოძრაობაზე, ვინც მე-16ს. რომაულ-კათოლიკურ ტრადიციას ეწინააღმდეგებოდნენ.

მრწამსი: დაფუძნებულია წმინდა წერილზე - ღვთის სიტყვაზე, მხოლოდ მას უნდა ვეყრდნობოდეთ რწმენაში და განმართლებას ადამიანი აღწევს ბოლოს ქრისტეს ამქვეყნად მოვლენის წყალობით.

საქართველოში ლუთერანული ეკლესიის დაარსება დაკავშირებულია ცნობილი შვაბების გადმოსახლებასთან 1818 წელს. მათ 7 კოლონია დაარსეს თბილისის გუბერნიაში: ალექსანდრესდორფი (დიდუბე),

ელისაბედტალი (ასურეთი), პეტერსდორფი (იორზე), ანენფელდი (შამქორი, აზერბაიჯანი), ჰელენსდორფი (ქანლარი, აზერბაიჯანი), კატარინესფელდი (ბოლნისი) და მარიენფელდი(სართიჭალა). მათ შემდეგ რამდენიმე დასახლებაც დაემატა, მათ შორის ნოე-ტიფლისი.

1823წ. ბაზელიდან მისიონერები ჩამოვიდნენ, ერთ-ერთმა მათგანმა - ავგუსტ ჰაინრიჰ დიტრიჰმა მოიწვია პირველი სინოდი და სამრევლოებს შინაგანაწესი დაუწესა. 1824წ. საქართველოში ჩამოვიდა ბაზელიდან მისიონერი იოხან ბერჰარდ სალტეტი, რომელიც გახდა პირველი პასტორი. დაიწყო ეკლესიების მშენებლობა. საქართველოში გადმოსახლებული ლუთერანი გერმანელთათვის საეკლესიო ცხოვრება იყო გამაერთიანებელი ძალა, განსაკუთრებით სოფლებში.

საბჭოთა პერიოდმა ყველაფერს ბოლო მოუღო: 1929 წლის 8 აპრილს დეკრეტით ეკლესიებს წაერთვად ქონება და გადაეცა სახელმწიფოს მფლობელობაში. თანდათანობით აიკრძალა რელიგიის გაკვეთილები, ღვთისმსახურება. 1931წ. ამიერკავკასიის ლუთერანული სამრევლოების მთავარი პასტორი რიჰარდ მაიერი დააპატიმრეს და 1933წ. - მოკლეს. ასე თანდათან ჩაქრა ლუთერანული ცხოვრება საქართველოში. 1941წლის 8 ოქტომბერს გამოცემულ ბრძანებით გერმანელები იყვნენ ამიერკავკასიიდან გასახლებულნი (23,580 გერმანელი წარმოშობის მოქალაქე და მათი ოჯახები). 1945წ. გერმანელ სამხედრო ტყვეებს უბრძანეს კირხის ქუჩის დანგრევა.

1991წ. ლუთერანებს მიეცათ უფლება თავისუფლად შეკრებისა. გერმანელებს სათავეში ედგა გადასახლებიდან დაბრუნებული იოჰან დრეილინგი. მოგვიანებით დოქტორ გერტ ჰუმელის მოღვაწეობის შედეგად ჩამოყალიბდა ევანგელურ-ლუთერანული ეკლესია, რომელიც ამჟამად 1000 წევრს ითვლის. ეკლესიები აქვთ: თბილისში, რუსთავში, გარდაბანში, ბოლნისში, ბორჯომში, ასურეთში.

გამოსცემენ სამენოვან ჟურნალს „საეკლესიო მაცნე“.